საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თურქესტანიშვილი ბაადურ (ბორის)

თურქესტანიშვილი ბაადურ (ბორის), XVIII ს. I ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. მონაწილეობდა ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის გამართულ მოლაპარაკებაში. 1724 თავის ნათესავებთან ერთად რუსეთში გაჰყვა ვახტანგ VI-ს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: პ ა ი ჭ ა ძ ე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თბ., 1960.

თურქესტანიშვილი გიორგი (ეგორ) ბაადურის (ბორისის) ძე (1730, სანქტ-პეტერბურგი, – 25. I. 1795, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1789). ბ. თურქესტანიშვილის ვაჟი. 1751-იდან სამხ. სამსახურში იყო. 1784-იდან პოლკოვნიკის ჩინით მუშაობდა სამხ. კოლეგიის ობერ-კონტროლიორად, 1785-იდან – გენ.-კონტროლიორად. ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის II–III ხარისხის ორდენებით, რ-ებიც მას პირადად გადასცა იმპერატორმა ეკატერინე II-მ. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა საკუთარ მამულში, იაროსლავლის გუბერნიაში. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ლიტ.: Д ж а в а х и ш в и л и Н., Грузины под Российским флагом, Тб., 2003.